ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7444840

ნომერი: AR11085321

თარიღი : 03.04.2025

გაცემის თარიღი : 11.04.2025

გაცნობის თარიღი : 11.04.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბრილების ქუჩა, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მამისაშვილი პ/ნ 01021001076
- ქ. თბილისი, ავშნის ქ. #126

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ დამატებით წარმოსადგენია:

- მოთხოვნის შინაარსი: დაკონკრეტდეს და განიმარტოს, რაში მდგომარეობს განმცხადებლის მოთხოვნა;
- სარეკონსტრუქციოდ მოთხოვნილი ნაგებობის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო ნაგებობის შესაბამისი კონკრეტული ტრაექტორია (ან წარმოდგენილი იქნას ახალი განცხადება, სადაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
- არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: წარმოსადგენია საპროექტო ტერიტორიის (საზოგადოებრივი სივრცის, სადაც გათვალისწინებულია სამუშაოები, მათ შორის სადემონტაჟო საყრდენები) ასახვით;
- ფოტომონტაჟი: წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ფოტოსურათზე დამუშავებული საპროექტო ნაგებობის ფოტომონტაჟი (ყველა იმ მონაკვეთის ასახვით, რომელიც აღქმადია ზედაპირზე). არქიტექტურული პროექტი კი წარმოსადგენია შენიშვნების მე-2 პუნქტის დაზუსტებით (მიეთითოს არა თუ სამომავლოდ გასათვალისწინებელი მანძილები, არამედ დადასტურდეს, რომ წარმოდგენილი პროექტით უკვე გათვალისწინებულია აღნიშნული დაშორებები). ასევე, გეგმაზე აისახოს ტერიტორიაზე არსებული სხვა ხაზობრივი ნაგებობები და მიეთითოს მესაკუთრის შესაბამისი მონაცემები/თანხმობები, გეგმაზე/ექსპლიკაციაში მიეთითოს უშუალოდ საპროექტო ნაგებობა;
- კონსტრუქციული დასკვნა - სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობაზე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს სსიპ იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოშის (პირადი N206337301) უფლებამოსილი წარმომადგენლის ლევან მამისაშვილის (პირადი N01021001076) მიერ NAR11085321 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა.
- წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა იმ მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობაზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოები.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.